სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 5 (4502) ● 26 ნოემბერი ● 2014 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 80 თეთრი ●

ცოდნის ეს ტაძარი უფრო გაბრწყინდება

ამ სკოლას ადრე „**ოთარ თეთვაძის გიმნაზია**“ ერქვა. ისეთი დრო დაგვიდგა, ადვილად გვეხერხება სახელოვანი წინამორბედების დავიწყება. წინა მთავრობის ზეობისას საჯარო სკოლებს ჩამოაშორეს კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ კობახიძის და სხვათა სახელები. არადა, ოთარ თეთვაძის თაოსნობით თბილისის დღევანდელი 32-ე საჯარო სკოლა დედაქალაქში თითით საჩვენებელი გახდა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობით სახელი გაითქვა. ინფრასტრუქტურით და იერ-სახით კი ნუღარ იკითხავთ. ეზოში გაშენებული ვაზისა და ხეხილის ბაღნარის მოსავალს დღესაც „ჭამენ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ მისნი ძენი“.

ახალ სასწავლო წელს სკოლაში ახალი დირექტორი მოვიდა. დირექტორად მოვიდაო ვამბობთ, თორემ თითქმის ოცი წელია ამ სკოლაში მოღვაწეობს, ქართული ენა-ლიტერატურის ჩინებული მასწავლებელია. ასე რომ, ახალ დირექტორს ნდობა და ავტორიტეტი უკვე მოხვეჭილი აქვს, როგორც იტყვიან „ჩვენებურია“.

ნინო კაშია ქუთაისის 28-ე სკოლისა და საქართველოში სახელგანთქმული ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტის აღზრდილია. დამთავრებული აქვს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. სერთიფიცირებულია არა მარტო, როგორც პედაგოგი, არამედ – როგორც სკოლის ხელმძღვანელი. ამავე დროს, მუშაობდა მასწავლებელთა დახელოვნების სასახლის მწვრთნელად.

წინასწარ ვთქვათ: სკოლის იერ-სახე დიდებულია, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ამასთან ერთად თვალსაჩინო შედეგების მისაღწევად გადამწყვეტი მაინც მაღალკვალიფიციური კადრებია. ამ მხრივ დირექტორს, როგორც იტყვიან, თავი ქუდში აქვს. მხარში უდგანან გამოცდილი მოადგილეები: **ნელი ჭელიძე, ეკა ხონელიძე**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **თამარ წიქარიშვილი** და რაც ყველაზე მთავარია, – შემოქმედი, ძლიერი მასწავლებლები.

მთელი სკოლის სიცოცხლე და ხალისი ხომ მოსწავლეთა თვითმმართველობაა, რომელსაც ნიჭიერად უძღვება წარჩინებული მაღალკლასელი **თამუნა ნონიაშვილი**.

39 მასწავლებელი სერთიფიცირებულია. შემოქმედებითად იღვწის ქართულის მენტორი მასწავლებელი **ლია ჩხაიძე**, რომელიც სწავლებაში სიახლეების ინიციატორი გახლავთ.

მაღალხარისხიან შედეგებზე ორიენტირებული მუშაობის მთელი სიმძიმე საგნობრივი კათედრების მუშაკთა მხრებზე გადადის. გამოცდილი, საგანში მოწინავე პედაგოგები უნარიანად ხელმძღვანელობენ კათედრებს: **ნინო ბუაჩიძე** (ქართული ენა-ლიტერატურა), **მაია მაისურაძე** (მათემატიკა), **თამარ გობეჯიშვილი** (საზმ-ცოდნეობა), **თამარ კოტორაშვილი** (უცხოური ენები) და **დიანა დალაქიშვილი** (ესთეტიკა). ისინი მზად არიან უფრო საინტერესოდ და ნაყოფიერად წარმართონ სასწავლო-მეთოდური მუშაობა.

სკოლაში ახალი დირექტორი მოვიდა

აქვე უნდა ვთქვათ: სკოლას ჰყავს შვიდი სადირექტოროდ სერთიფიცირებული პედაგოგი.

სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს საქმის ცოდნითა და თავაზიანობით ახალი დროის მანდატურებმა. სკოლის დირექცია კმაყოფილია მათი მუშაობით, თანადგომით, თავიანთი ფუნქციების გასიგრძეგანებით. დიდი წვლილი შეაქვთ დისციპლინის განმტკიცებასა და უსაფრთხოების დაცვაში: **გელა თოდრიას, ლალი ლობჯანიძეს, ზურაბ ცხოვრებაძეს და მაკა არაბიძეს**. ისინი მოსწავლე-ახალგაზრდობის ნდობას იმსახურებენ, მეგობრობენ კიდევაც მათთან.

სკოლის მიღწევებზე სწავლების დარგში, მოსწავლეთა შემეცნებით-შემოქმედებით კონკურსებში, ოლიმპიადებში ჩართულობასა და მოპოვებულ ჯილდოებზე, ასევე სხვა სახის ღონისძიებებზე მინდოდა უფრო ვრცლად მემსჯელა, მაგრამ ამჯერად ამის საშუალებას საგაზეთო სივრცე და ფორმატი არ მაძლევს. თუ პედაგოგთა სურვილი იქნება, ამისთვის შემდეგისთვის მზად ვარ.

მჯერა, ეს სახელოვანი ცოდნა-განათლების ტაძარი მოკლე დროში ახალი დირექტორის **ნინო კაშიას** ენთუზიაზმით, პედაგოგთა შეხმატკბილებული ღვაწლით უფრო გაბრწყინდება.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ჩვენი პირველი მასწავლებელი

წელს თბილისის 32-ე საჯარო სკოლამ ექვსი პირველი კლასი მიიღო, სარეკორდო მაჩვენებელია. იმრავლონ და იარონ! I^ბ კლასი გამოცდილ, 20 წლის სტაჟის მქონე მასწავლებელს შეხვდა. **ეკა მათიაშვილი** ამავე სკოლის აღზრდილია და 25 თვალხატულა, მერცხალა გოგობიჭის შემხედვარე ლამის თავის ბავშვობას დაუბრუნდეს.

ეკას გაკვეთილებზე მუდამ ხალისი და ცოდნის ზეიმია.

– გიყვართ, პატარებო, ეკა მასწავლებელი? – ვეკითხები ცეროდენებს.

– ძალიან, ძალიან გვიყვარს! – იხუვლეს ერთხმად.

თვენახევარია, რაც ფეხი შემოდგეს სკოლაში და რამდენი რამ უკვე იციან. მარდად გაიხადეს ქურთუკები, აკურატულად დაკიდეს საკიდზე, ჩანთებიც ლამაზად დააწყვეს მერხებზე და გაკვეთილის დაწყების მოლოდინში გაისუსნენ. ეს ცეროდენები **ეკა მათიაშვილის** ხელში ნაღდი, სახელოვანი მამულიშვილები გაიზრდებიან.

კალენდარი

გალაკტიონის გახსენება

მშობლიურო ჩემო მიწავ!

ოცდაექვსი საუკუნის
წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს,
ხელნაწერნი განვლილ დროის
მოგვითხრობენ გმირთა ამბავს –
სუნთქვა ძველი წიგნებისა
მშვენიერი ძველი ენა,
სული ქართლის ცხოვრებისა,
რუსთაველის აღმაფრენა.

ჰიმნი ქართულ ანბანს

შენ, რომელიც მარად
მზეებრ გვინათ,
არა გუშინ გაჩნდი თვალისჩინად,
არამედ მზის ამოენთე
ბრწყინვად –
ოცდაექვსი საუკუნის წინათ...
შენ სიძველის გმოსავს
ნელი ხავსი,
ქვაზე ჭრილი ხარ
ჩუქურთმის მსგავსი–
დიდის გზნებით ასე იყავ სავსე
ოცდაექვსი საუკუნის წინათ.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: “საქპრესა” - გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, “მაცნე” - საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

პაჭარა სკოლის დიდი საქმეები

ეზოს აღმართს რომ შეუყვები, ილიას ძეგლი გეგებებათ, თუცმა სკოლას **ივანე გიორგაძის** სახელით იცნობენ. დიახ, XX საუკუნის მეორე ნახევარი მეზობელ 77-ე და 88-ე (ციფრებს დააკვირდით) სკოლებში სახელოვანი დირექტორების – **გრიგოლ კობახიძისა** და **ივანე გიორგაძის** სახელები ქუხდა.

88-ე სკოლას ვეწვიეთ ამ შემოდგომაზე. პირველი, ვინც ღიმილიანი შემხვდა და მასპინძლურად მიმიღო, მანდატური **კახა ხარატიშვილი** გახლდათ. იგი არ ჰგავდა შაშკინის მანდატურს, უხეშს, სიტყვაძვირს, რომლებსაც ადრე გადავყრივარ. მალე გაირკვა, ასეთივე საურთიერთობო ყოფილა მისი კოლეგა **ნინო კურტანიძეც**. მათ მალე გამონახეს საერთო ენა მოსწავლეებთან, დაუმეგობრდნენ მათ და სკოლის უსაფრთხოება-წესრიგისთვის ზრუნავენ.

ეკა ჯამაგიძე, თბილისის სახელოვანი მე-15 სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილი, გამოცდილი პედაგოგი, ინგლისური ენის ჩინებული სპეციალისტი გახლავთ. ამ სკოლაში წელს კონკურსის წესით მოვიდა, – ჩვენი სკოლა მცირეკონტიგენტიანია, – ამბობს დირექტორი, – ბოლო წლებში პირველი შემთხვევაა, რომ აქ ორი პირველი კლასი გავხსენით.

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე საუბრისას მისი მოადგილე დიდხანს ნაღვაწი და ნიჭიერი პედაგოგი **ნინო მოსემღვდლიშვილი** შემოგვიერთდა. მასთან ერთად გატაცებით მოღვაწე სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ნინო თავაძე** და, რაც მთავარია, ყველა პედაგოგი, ერთგულად უდგანან დირექტორს მხარში და სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ეფექტიანობისთვის ზრუნავენ.

მოწესრიგებული შევხდა სკოლის ინფრასტრუქტურა ახალ სასწავლო წელს. უნარიანად უძღვება მოსწავლეთა თვითმმართველობას მე-11 კალასელი **ნინო კეჟერაშვილი.**

საინტერესო, ხალისიან ღონისძიებებს მართავენ ახალგაზრდები.

საგნობრივი კათედრების მუშაობას საქმის ცოდნით უძღვებიან: **ნინო მაისურაძე** (ენა-ლიტერატურა), **ვერა კაკალაშვილი** (უცხოური ენები), **სოფო ფიცხელაური** (საბუნებისმეტყველო), **ქეთი ლავრენტაშვილი** (საზმცოდნეობა), **ინგა ხატისაშვილი** (მათემატიკა), **ნინო თავაძე** (ესთეტიკა).

სკოლას 12 სერთიფიცირებული პედაგოგი ჰყავს. მათგან ორი – **ედნა ბაზერაშვილი და ვერა კაკალაშვილი** მენტორი მასწავლებლები არიან.

არცერთი პედაგოგის გამოყოფას არ ვაპირებდი, მაგრამ იმდენი რამ გავიგე **ვერა კაკალაშვილზე**, ორიოდე წინადადებით რომ არ ვახსენო არ შემიძლია. ქალბატონი ვერა ფრანგული ენის ჩინებული პედაგოგი გახლავთ. სკოლასთან თანამშრომლობს საფრანგეთის საელჩო. ვერას მოსწავლეები ჩართული არიან პროექტში, „მემორანდუმი ფრანგულის სწავლების შესახებ“. ჰოდა, ფრანგულმა არხმა საერთაშორისო განზოგადებისთვის გადაიღო **ვერა კაკალაშვილის** საჩვენებელი ტელეგაკვეთილი, რომლის დამონტაჟება და ჩვენება განახორციელა ფრანგმა რეჟისორმა **ივან კაბაკოვმა**.

ეფექტიანობის კონტურები

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი რომ ეფექტიანად მიმდინარეობს, მაღალ შედეგებზე ორიენტირებული არიან პედაგოგები, ამაზე მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით ღონისძიებებზე, ოლიმპიადებზე მიღწეული წარმატებებიც მოწმობს.

დირექტორის მოადგილემ **ნინო მოსემღვდლიშვილმა** სიგელებისა და დიპლომების მთელი დასტა მიჩვენა. აქედან მხოლოდ ზოგიერთის გაცნობის მეტი საშუალება არა გვაქვს. აი, 68-ე კონფერენციაზე **ნინო კეჟერაშვილის** I ხარისხის დიპლომი, ასევე, ფრანგულის ოლიმპიადაზე II ტურში გამარჯვება. **ქეთი ჯიშკარიანის** II ხარისხის დიპლომი. სიგელები: **ირაკლი ზარქუა, ნუცა შარაბიძე, თემურ აბაკელია.** კინგსის 2014 წლის მათემატიკურ ოლიმპიადაზე გამარჯვებული მესამე კლასელები: **მარი ფხალაძე** (I ხარისხის), **საბა შუკვანი** (III ხარისხის), **ანანო ჯოლოხავა** (III ხარისხის), **ლიზი თაბუკაშვილი** (III ხარისხის), **მარი კვარაცხელია** (სერთიფიკატი).

მომავალი ასეთი და უკეთესი ჯილდოებით უფრო უხვმოსავლიანი იქნება.

თბილისის 115-ე საჯარო სკოლაში

მაღალ შედეგებზე ორიენტირებული

ახალი სასწავლო წელი ორი თვალსაჩინო ფაქტით დაიწყეს 115-ე საჯარო სკოლის პედაგოგებმა. შვიდი პირველი კლასი გაიხსნა, რაც უპრეცედენტო რაოდენობაა და აქაური სამი მასწავლებელი სკოლის დირექტორი გახდა. ერთი, **ფიქრია ღამბაშიძე** – მშობლიური სკოლისა, ხოლო ორი, **თამილა გვარამაძე და ირმა ფუხაშვილი** – 159-ე და 48-ე სკოლებისა. თუ იმასაც ვიტყვით, რომ ორი მათგანი ისტორიკოსია, მათ კარგად გაუთავისებიათ სუვოროვის შეგონება: „ის რა ჯარისკაცია, ვინც გენერლობაზე არ ფიქრობსო“. სკოლაში ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი მოღვაწეობს, რაც ხარისხიანი შედეგების საწინდარია.

დირექტორმა მთხოვა, ნუ შემაქებო, ფოტოც არ მინდაო, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: სოხუმის უნივერსიტეტის აღზრდილი, აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგი ამ სკოლაში ისტორიის ჩინებული მასწავლებელია, 1000 ლარიანი სერთიფიკატის მფლობელი. ახლა ვნახოთ, დირექტორის რანგში თავს როგორ გამოიჩენს. მას მხარში ერთგულად უდგანან გამოცდილი, შრომისმოყვარე მოადგილეები: **ეკა ლიჩელი და ფიქრია აქიაშვილი**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **გია ბეგიაშვილი**.

სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. აქვთ კეთილმოწყობილი სამედიცინო კაბინეტი (ექიმი **თამარ ბერიანიძე**), სასკოლო ბუფეტი, ემსახურებათ მდიდარი ბიბლიოთეკა (გამგე **მაკა ხეცურიანი**). სკოლის ცხოვრებას ალამაზებს მოსწავლეთა თვითმმართველობა X კლასელ **მარიამ თევდორაძის** თაოსნობით.

კათედრებს უნარიანად ხელმძღვანელობენ: ქართულისას **ნადია ქისტიშვილი,** მათემატიკისას – **ლალი ჩიტაშვილი**, საბუნებისმეტყველოს – **ლია ბობოხიძე,** საზმცოდნეობისას – **სოფიო თულაძე**, დაწყებითისას – **ეკა ზაზაშვილი**, ესთეტიკისას – **ლალი მღებრიშვილი**, უცხოური ენებისას – **ირმა მურადაშვილი**, სპორტისას – **ნანი ოჩხიკიძე**. სერთიფიცირებულია 30 პედაგოგი.

გასული სასწავლო წლის შედეგები სანაქებოა: 89 სკოლადამთავრებულიდან ნახევარზე მეტი სტუდენტი გახდა. სამი ოქროს მედალოსნიდან (**ნათელა ფარადაშვილმა, გვანცა შევარდნაძემ და ლინა უგულავამ**) სამივემ 100%-იანი გრანტი აიღო. ისეთ ძლიერ კურსდამთავრებულებს უშვებს სკოლა, რომ ისინი იქაც სწავლაში უძლიერესი, წარჩინებული სტუდენტები არიან: თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტებიდან **ნიკა ჭავჭავაძის, გივი ცქიტიშვილის და ნინო წიკლაურის** სამაგალითო აღზრდისთვის სკოლამ მადლობის ბარათები მიიღო.

ახლა რასაც ვიტყვი, სრულებით არ ეხება **ფიქრია ღამბაშიძეს**.

ზოგიერთი დირექტორი, როცა მისი სკოლის შესახებ სტატიის დასაწერად მივდივარ, ზნეობრივ ფანდს იშველიებს და ყალბი პათოსით ამბობს: „საკუთარ თავზე რეკლამა არ მიყვარსო“. თქვენს გასაგონად ვამბობ – ზედმეტად „თავმდაბალო“ დირექტორებო: თავიდან ამოიღეთ სტერეოტიპი, თითქოს თქვენთვის დითირამბების საკმევლად მოვდიოდეთ. ჩვენი მიზანია სკოლის მიღწევების გაშუქება, პედაგოგის მძიმე შრომის დაფასება და მისთვის მადლობის თქმა, საზოგადოებისგან დაბალ ღობედ მიჩნეული მასწავლებლის ქომაგობა, გასამხნევებლად ხელის მხრებზე მოთათუნება. თუ დაიმსახურებს, კეისარსაც მიეზღვება კეისრისა.

ახალ დირექტორს – **ფიქრია ღამბაშიძეს** თავის ძლიერ მასწავლებლებთან ერთად დიდ გამარჯვებას ვუსურვებთ.

ბორის მიშველაძე

ცარიელ მუმლაძე

მასწავლებელი

კარგი მებაღის ხელში კარგად ფეთქდება კვირტი,
კურთხეულია, მადლიანი თსტატის ხელი.
ცხოვრების გზაზე კაცს რამდენი გადააქვს ტვირთი,
მაგრამ სულ სხვაა მასწავლებლის მძიმე უღელი.

აღზრდის თემებზე, როცა აზრი კარგად იწვნება,
მაშინ შეგირდი მას მიიღებს და მიენდობა,
ჯერ არ ყოფილა ცის ქვეშეთში და არც იქნება,
მასწავლებელზე უფრო დიდი თანამდებობა.

ბრუნავს სამყარო, გალაქტიკა, ბობოქრობს ზღვები,
პლანეტებს შორის აზრთვნების გაიდო ხიდი,
აღმავლობისკენ მაშინ მიდის იმ ქვეყნის გზები,
თუ მასწავლებელს ღირსება და ფასი აქვს დიდი.

თუ ქვეყანაში მართლა ზეობს სწავლა-კულტურა,
საქმეს უძღვება განათლების მღაღადებელი.
არა-ძლიერი პოლიტიკა, პროკურატურა,
არამედ ქვეყნის ბედს წყვეტს მხოლოდ მასწავლებელი.

„ენკას“ ახალი მიღწევები

დირექტორი ნუგზარ ყენია

თბილისის ცენტრში მდებარეობს ცოდნის ის ტაძარი, რომელსაც სახელად სიმბოლურად ჰქვია – NK, რაც იშიფრება, როგორც **ნუგზარ ყენიას** საავტორო სკოლა. ბატონი **ნუგზარი** თითქმის ათი წელია უნარიანად უძღვება ამ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს და მოსწავლეებს, ენერგიას არ იშურებს, რომ მოწინავეთა რიგებში იყოს. დირექტორი მთელი შემართებით ცდილობს სკოლის მუშაობა ეფექტიანი იყოს ახალგაზრდების განათლების გზაზე. მისი აზრით, განათლების მომავალი კერძო სექტორშია, თუ ექნება მას მხარდაჭერა მთავრობიდან, თუ ექნება სწორი მენეჯმენტი და საკადრო პოლიტიკა. ბატონი ნუგზარი 1988 წლიდან მუშაობდა თბილისის 47-ე სკოლის დირექტორად, 2006 წლიდან კი ამ სკოლის სათავეშია. გახლავთ ღირსების ორდენის კავალერი, აქვს გამოქვეყნებული უამრავი სტატია, დაინტერესებულია სოციოლოგიით. ეს დიდი გამოცდილება მის სკოლას აშკარად ეტყობა.

სკოლის აღმასრულებელი დირექტორი გახლავთ **ედუარდ კაკაბაძე**, რომელიც „ენკას“ სული და გულია.

სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილეა **მანანა მგალობლიშვილი**. მასთან საუბარში ადამიანი ნამდვილად იგრძნობს თუ რაოდენ სიყვარულით და სიფაქიზით ეპყრობა ის თავის კოლეგებს, მოსწავლეებს და დიდი შრომა და ღვაწლი აქვს ჩადებული სკოლის სასიკეთოდ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მეთაურია **სოფო ძოწენიძე**.

სკოლაში განათლებას იღებს 300-მდე მოსწავლე. მათი სწავლის დონე ძალიან მაღალია. ამაზე მეტყველებს ის, რომ შარშან 19 კურსდამთავრებულიდან ყველა ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში მაღალი ქულებით და დაფინანსებით. სკოლას ჰყავდა 7 მედალოსანი, ყოველივე ეს დამსახურებაა მასწავლებლების, რომლებიც არიან თავი და თავი ამ საოცარი წარმატებებისა. სულ 46 პედაგოგი იღვწის ამ სკოლაში. ხელმძღვანელები სიამაყით გვისახელებენ იმ მასწავლებლებს, რომლებიც სკოლის ცხოვრებით ცხოვრობენ, ესენია: **უთურგაიძე ლია, გაბიტაშვილი გია, ლაფაური ნათია, ელისბარაშვილი ირმა, დევიძე ნატო, თავბერიძე ნინელი, გრძელიშვილი ნია, ბოსტაშვილი მაია, ქავთარაძე მარიკა, ასანიძე ხვიჩა, კარანაძე ქეთი, ფეიქრიშვილი შოთა, ხომერიკი მარი, გერმესაშვილი ნატო, რობაქიძე თინა, დაუშვილი ნინო, ყარალაშვილი ლია, ბედუკაძე ხათუნა, პაპუაშვილი დალი და სხვა.**

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოცდილი გამგე **ლია დარბაისელი**.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე უდიდესი შრომა **თამუნა გეჯაძისა**, რომელიც მეტყველებას ასწავლის. ენციკლოპედიის შესწავლის წრეს ხელმძღვანელობს **ლია კევლიშვილი**.

სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი სასწავლო კათედრა: ქართული ენის და ლიტერატურის, რომელსაც ხელმძღვანელობს **ლია გიგიტაშვილი**, მათემატიკის – **ნანული ბებია,** საბუნებისმეტყველო – **ხათუნა მურვანიძე**, საზოგადოებრივი მეცნიერების – **თინათინ რობაქიძე**, ესთეტიკური აღზრდის – **ნინო დაუშვილი**, უცხო ენების – **თამარ მამალაძე** და დაწყებითი კლასების – **ნათია ლაფაური**.

კათედრების მიხედვით ტარდება სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები, ინტეგრირებული პროექტები, პრეზენტაციები, დებატები, ღია გაკვეთილები, ვიზიტები სამეცნიერო ლაბორატორიებში და დაწესებულებებში, კვლევა-ძიებითი ექსპერიმენტები ლაბორატორიული თუ პრაქტიკული სამუშაოები, ხდება სამეცნიერო ფილმების გამოყენება სასწავლო პროცესში.

ამ სკოლის მოსწავლე **თინიკო ზურაბიშვილი** გავიდა მეორე ადგილზე, მოსწავლეთა ოლიმპიადაში. იგი ინგლისურ ენაში სიგელით და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა. ხოლო მასწავლებელი – **ლია გრძელიშვილი** – სიგელით.

ბიოლოგიაში თავი ისახელა ნუცა ხამხაძემ, მათემატიკაში ოლიმპიადაზე სკოლა წარმოაჩინეს ანი რატიანმა, **ნიკოლოზ სულაძემ, გიორგი გურგენიძემ და ძმებმა დავითაშვილებმა**.

მოსწავლეები აქტიურები არიან ასევე ხელოვნებაშიც. აი, ნორჩი მხატვრები – **მარიამ ვაშაკიძე**, რომელსაც პოლონეთიდან გამოუგზავნეს სიგელი საუკეთესო ნახატისთვის. აგრეთვე, **ბერიშვილი გიორგი**, რომელსაც გამოფენა ჰქონდა მოწყობილი ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ასევე თავი გამოიჩინეს: **ანა სანოძემ, ილია დავითაშვილმა და კონსტანტინემ, ნინო ყავლაშვილმა და ქეთი ედიბერიძემ.** სკოლაში წარმოდგენილია დაზგური ქანდაკებები და მათზე მუშაობის ხელოვნება.

სკოლის ცხოვრებას ახალისებს ის ლამაზი და მრავალფეროვანი მუსიკალური ღონისძიებები, რომლებსაც ატარებენ ყოველ დღესასწაულზე. მუსიკალური

კერძო სკოლის სიკეთე

ბავშვები არიან: **მარიან ტაბიძე, ალექსანდრე აბულაძე, საბა სახვაძე, მარიამ ბუხრაშვილი, მარიამ ტაბატაძე**.

მეტად სერიოზული ყურადღება ექცევა სკოლაში სპორტულ აღზრდას, რასაც ხელმძღვანელობს პედაგოგი **ხვიჩა ასანიძე**. აქტიურია და მრავალფეროვანი სკოლის სპორტული ცხოვრება. მასწავლებელი თავისი მოსწავლეების წარმატებაზე ამაყად საუბრობს. სკოლაში ჰყავთ უძლიერესი მოჭადრაკე – **მარიამ მექვევრიშვილი. თარაშ კანდელაკმა** პირველი ადგილი აიღო უკრაინაში ახალგაზრდობის საერთაშორისო ტურნირზე კრივში, ამასთან მოპოვებული აქვს უამრავი სიგელი. **ლუკა გიორგობიანი** წარმოჩენილია კარატეში. მოჭიდავე **გიგი ბალარიძემ** ორჯერ აიღო მეორე ადგილი საქართველოს მოჭიდავეთა ჩემპიონატში. სკეიტბორდში მეორე ადგილი აიღო **გიორგი დემეტრაშვილმა.** მაგიდის ჩოგბურთში პირველი ადგილი დაისაკუთრა **ერეკლე აბაშიძემ**. ამ სკოლაში სწავლობს ფეხბურთში ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **გიორგი ხარშილაძე.**

ტრადიციულად ყოველ წელს, ზამთრის არდადეგებზე სკოლიდან ბაკურიანში დასასვენებლად მიემგზავრება სულ მცირე 60 მოსწავლე.

მოსწავლეებს ემსახურება კეთილმოწყობილი ბუფეტი. სკოლაში სრული კომფორტია მოსწავლეების სასკოლო ცხოვრება რომ იყოს საინტერესო და ხალისიანი. ასე, რომ მასწავლებელთა გამოცდილება და ძალისხმევა მთელი მაქსიმალურობით მიმართულია იქითკენ, რომ სკოლის კურსდამთავრებულები იყვნენ ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე და დამსახურებულად დაიკავონ ღირსეული ადგილი საქართველოს ნათელი მომავლის აღმშენებლობის საქმეში.

ნანა ფიფია

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,

დირექტორი ზაირა კურტანიძე

ნომრის სტუმარია I ლოგოპედიური ბაგა-ბაღი

დედობრივი მზრუნველობა? რამდენიც გინდა!

იგი ტრასიდან მაისის ვარდივით ანათებს. ასე ანათებდა მუდამ ორი პირველი: I ბაგა-ბაღი ვაკეში **ნელი კეპულაძისა** (ახლა კი – **თეონა ჯულუხაძისა**) და I ლოგოპედიური ბაგა-ბაღი **ზაირა კურტანიძისა**.

პირველი ლოგოპედიური ბაგა-ბაღი 36 წლისაა, ხოლო ღვაწლმოსილი, დამსახურებული პედაგოგი, მუდამ მაძიებელი და სიახლეების ინიციატორი **ზაირა კურტანიძე** მეოთხედ საუკუნეზე მეტია მის ზრდა-გაბრწყინებაზე ზრუნავს.

შეხვალთ თუ არა, გული გაგინათდებათ. ეზო – სიმწვანის სამოსშია, კარუსელებით, საქანელებით, სასრიალოთი, „აჩუ-აჩუ ცხენოთი“ და სხვა სათამაშოებით გაჯერებული.

მზიან ამინდში აქ ცეროდენების ხალისიანი ჟრიამულის შემყურე ასაკოვანიც გახალისდება და ინატრებს: „ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი!“

ასე იყო იმ დღესაც „შემოდგომის ფესტივალის“ – „თბილისობის“ დღეს: ზეიმმა მუსიკის დარბაზიდან ეზოში გადმოინაცვლა. ცეროდენებმა თავიანთი შემოქმედებით მოხიბლეს სტუმრები. გლდანის რაიონის ახალმა გამგებელმა **ბესიკ ქარცივაძემ** გულშიჩამწვდომი სიტყვებით მიმართა ბავშვებს, მადლობა გადაუხადა ბაგა-ბაღის მთელ პერსონალს. დირექტორის კაბინეტში საპატიო ადგილი უკავია მადლობის სიგელს, რომელიც გამგეობამ მათ გადასცა. იმდენად რეზონანსული იყო ზეიმი შემოდგომის მრავალფეროვნებით, რომ იგი გაზეთმა „რეზონანსმა“, „ქართულმა სიტყვამ“ და საპატრიარქოს ტელევიზიამ ფართოდ გააშუქეს. ჩვენ ვერ შევძლებთ იმ გამარჯვების დიპლომების, სერთიფიკატებისა და სიგელების ჩამოთვლას, რომლებიც პირველ ლოგოპედიურ ბაგა-ბაღს მიუღია. ბევრს ვერც მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურაზე ვისაუბრებთ, რის მისაღწევად წლების მანძილზე თავაუღებლივ შრომობდნენ დირექტორი და მისი აღმზრდელ-პედაგოგები, მთელი პერსონალი.

- თანამშრომლების სახელით დიდ მადლობას ვუხდი თბილისის ბაგა-ბაღების სამსახურის კოორდინატორს **თემურ თორდინავას** და რაიონის გამგებელს **ბესიკ ქარცივაძეს** ბაგა-ბაღზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის – აცხადებს დირექტორი.

სისუფთავე, აკურატულობა, საუკეთესო კვება, მეცადინეობა, თამაში – აი, ყველაფერი ის, რაც ხორციელდება უმაღლეს დონეზე. ისეთი გათბობა აქვთ, არც ყინვის შეეშინდებათ, არც ქარბუქის.

ბაგა-ბაღის მუშაობაზე საერთო აზრის შესაქმნელად მე-13 ჯგუფის გაცნობაც კმარა, რომელსაც ახალგაზრდა, ვერცხლისწყალივით დაუდეგარი პედაგოგი ფატი ცუცქირიძე უძღვება. აქ ხშირად ტარდება ინტეგრირებული მეცადინეობები. აქ ყველგან თოჯინები იცინიან. ასეა ყველა ჯგუფში. საერთოდ კი, სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას დიდი წარმატებებით უძღვება საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი (მეთოდისტი) **მანანა ბეროზაშვილი.** ყველა ღონისძიება ბავშვთა პატრიოტული და ტოლერანტული აღზრდისკენაა მიმართული.

ლოგოპედიური ბაღი სპეციფიკურია. აქ განსაკუთრებით ზრუნავენ პატარების მეტყველებაში არსებული ზოგიერთი ხარვეზის გამოსასწორებლად. ამ მხრივ თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს გამოცდილმა ლოგოპედებმა: **ნინო გაბაშვილმა, ლია ხარაძემ, ლალი ჭაგაშვილმა, თინა სარიშვილმა, მზია გელაძემ და მაყვალა გერგიამ.** ახალგაზრდებს ალბათ არ ეწყინებათ, ქებისა და მადლობის სიტყვებით გამოვყო ღვაწლმოსილი დამსახურებული პედაგოგები: **ნინო გაბაშვილი და ციალა მუჯირიშვილი**, ბაღის დაარსების დღიდან (36 წელი) აქ მოღვაწეობენ.

ძვირფასი სტუმრები

ყველა აღმზრდელ-პედაგოგს დაელოცოს მარჯვენა, მადლობის სიტყვებით ახსენა დირექტორმა სხვა აღმზრდელები: **მანანა სურამელაშვილი, მარინე კერვალიძე, ფატმან ცუცქირიძე, ინგა კურტანიძე, მაკა მუმლაძე, მარინე ხუროშვილი, თამილა იმედაშვილი, მარინე კერვალიძე, მარიამ ჩიტაური, მედეა კაციტაძე, ბელა ჩოჩელი, ნანი ოჩხიკიძე, ირინე ლაცაბიძე, თეა გაგანაშვილი და სხვები.** იმ სხვებს კი, რომლებიც მე გამომრჩა, ბოდიშს ვუხდი და მადლობას მოვახსენებ.

უნარიანად მოღვაწეობენ დირექტორის მოადგილე **ნინო წიკლაური** და ფსიქოლოგი **ნატო მეფარიშვილი**.

ცეროდენების ხელოვნებისადმი სიყვარულის აღზრდაში, მათი სულის გაფაქიზებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით მუსიკის პედაგოგებს: **ლეილა ლიპარიძეს, მაკა ჯალაბაძეს, ნინო ტრაპაიძეს** და ცეკვის მასწავლებელ **რაინდი სამხარაძეს**.

ყველა ზეიმის და მხატვრული ღონისძიების სული და გული არიან ისინი. საერთოდ, ბაღში მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მოზარდებში ეროვნული სულის, მამულისა და ენის სიყვარულის წინაპართა ტრადიციების შენარჩუნებისკენაა მიმართული. მაგალითად, **ლეილა ლიპარიძე** უკრავს ხალხურ ინსტრუმენტებზე, ხალხურ სიმღერებს აყვარებს პატარებს.

ამიტომაა, რომ ასე მოხიბლეს ბავშვებმა მოხუცთა პანსიონატიდან მოწვეული სტუმრები ხალხური სიმღერებით და ცეკვებით. ბარემ აქვე ვიტყვი: გამგებელ **ბესიკ ქარცივაძის** შეთავაზებით ბაღის ცეროდენები მონაწილეობას მიიღებენ საბავშვო ჟურნალ „დილას“ 130 წლის საიუბილეო ზეიმში, რომელიც თვის ბოლოს „ახმეტელის“ თეატრში ჩატარდება. გვჯერა, აქაც თავს ისახელებენ ჩვენი პატარები.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაზე ბევრს ზრუნავენ: ექიმი **ნინო მათურელი,** ექთან-დიეტოლოგი **ნანული ხმალაძე,** მზარეული: **თინა ხვედელიძე**, სპეცმასწავლებელი **ნათია გივიაშვილი,** საქმის მწარმოებლები: **დესიკო არაშიძე და მაკა ობგაძე.**

შემოდგომის ფესტივალი

დაელოცოთ მარჯვენა აღმზრდელებს: **ლალი ყურაულს, ლელა ცერცვაძეს, ლია რაზმაძეს, ლეილა რეხვიაშვილს, ლამარა ჯგერენაიას, ლალა გურულს, მარინე კიკვაძეს, მაია შეკიშვილს, ნინო ყაველაშვილს, ირმა სამხარაძეს, სოფიო პირველს, ლალი გელაშვილს, რუსუდან ღუღუნიშვილს, ნელი ჩიტაძეს, ირმა გარსიძეს, ნინო დანელიას, ხატია მაისურაძეს და სხვებს.**

ზემოთ ვთქვით: დირექტორი **ზაირა კურტანიძე** ყველა სიახლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორიაო. ბაგა-ბაღი მონაწილეობს განათლების სამინისტროს საინტერესო პროექტში: „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე: აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“, რომლის მიზანია მოწინავე გამოცდილების სხვებისთვის გაზიარება. ჰოდა, ამ მიზნით ამ დღეებში I ლოგოპედიური ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგები გაემგზავრებიან დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირში, შეხვდებიან იქაური ბაგა-ბაღის პედაგოგებსა და მშობლებს, ჩაატარებენ მთელ რიგ საჩვენებელ მეცადინეობებს.

ამ მიზნით მათთან ერთად მონაწილეობენ თბილისის 205-ე **(ია პატეიშვილი),** 216-ე **(ანუკი კიწმარიშვილი)** და 186-ე **(იზო ლოლაძე)** ბაგა-ბაღის **პედაგოგები**. I ლოგოპედიურიდან კი სახვითი ხელოვნების მეცადინეობის პრეზენტაციას მოაწყობენ ბელა ჩოჩელი და **ფატი ცუცქირიძე**.

გასულ სასწავლო წელს ბაღმა სასკოლოდ კარგად მომზადებული 150 ცეროდენა გააცილა პირველ კლასში. შესანიშნავი შემოქმედებითი ურთიერთობაა დამყარებული 71-ე საჯარო სკოლასთან (დირექტორი **რამაზ სუპატაშვილი**). ეს სკოლა ყოველი ღონისძიებისას მხარში ერთგულად უდგას ბაგა-ბაღს. მაგალითად: სკოლამ ფირზე აღბეჭდა ბაღში ჩატარებული ბრწყინვალე ზეიმი „თბილისობა“. კიდევ ბევრი კარგი რამ დამრჩა უთქმელი, მაგრამ შემდეგისთვის იყოს.

ბოლოს მინდა ჩემი სუბიექტური აზრი გამოვხატო: არაფრით, არც სამართლებრივად, არც ზნეობრივად არ არის გამართლებული, როცა გამოცდა-ტესტირება უტარდებათ ღვაწლმოსილ, დამსახურებულ ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს. მაგალითად, **ზაირა კურტანიძისა და ნინო გაბაშვილის** კვალიფიკაციას რაღა შემოწმება უნდა? ეს უკანასკნელი ლექციებს კითხულობს უნივერსიტეტში და ამავე დროს ბაგა-ბაღებისთვის შედგენილი სახელმძღვანელოების ავტორია. ეს ხომ იმასა ჰგავს, რომ აბიტურიენტები და იმავე უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები ერთად დავსხათ საგამოცდო მერხზე. ვფიქრობთ, ეს ვითარება უნდა გაითვალისწინოს განათლების სამინისტრომ და ფორმალიზმს, ზედმეტ ტვირთს მოერიდოს.

ახლოსაა ახალი წელი. გილოცავთ მას, ბედნიერებას და ზღვა სიხარულს, ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, პირველო ლოგოპედიურო ბაგა-ბაღის აღმზრდელ-აღსაზრდელებო!

მაია მიშველაძე

თბილისობა

„დაპურდი, გახდი ყანაო!“

ბედნიერია ბავშვობა თქვენი

მე-11 ბაგა-ბაღის შესახებ

დირექტორი ქეთევან გოლიაძე

თბილისის 11-ე ბაგა-ბაღი, რომელიც მდებარეობს გლდანის მე-6 კვარტალში, სტუმრობს გაზეთის დღევანდელ ნომერს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემო და სიყვარული, რომელიც იგრძნობა აქ. ამ პატარების ჟრიამულის ფონზე იზრდება და ყალიბდება თაობა, რომელიც საქართველოს ხვალინდელ დღეს უფრო წარმატებულს და ბედნიერს გახდის, ბაღის გამგის და აღმზრდელების უშრეტი ენერგიის და თავდადების შედეგია, რომ პატარები აქ ბედნიერად გრძნობენ თავს.

ბაღის დირექტორია **ქეთევან გოლიაძე,** რომელმაც დაამთავრა სკოლა ოზურგეთში, შემდეგ – პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი.

ამ სფეროში მოღვაწეობს უკვე 28 წელია, ხოლო 11-ე ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობს 2007 წლიდან.

ამჟამად ბაგა-ბაღში 308 აღსაზრდელია. მათი აღზრდით დაკავებულია 16 აღმზრდელი და 8 თანაშემწე. ესენი გახლავთ: **აბრამიძე მანანა, კასაბური ეკა, ხუხია ქრისტინე, კუპრაძე ინგა, ეშიკიშვილი ლია, კობალავა ქეთევანი, ჭოლაძე ლალი, ოდიშარია ნანა, ხაინდრავა ქეთევანი, ჟორჟიკაშვილი ლელა, ლიქოკელი ნანა, გიორგაძე მაია, გურამიშვილი თამილა, მოდებაძე ელზა, ქრისტესიაშვილი აზა, დავითაშვილი ნონა, მაჭავარიანი ციცინო, მერაბიშვილი დიანა, ყიფიანი ეკა, აგლაძე თინა, ჯოჯუა მაია, თოფჩიშვილი მარინე, ბუჩუკური მარიკა, ბერუაშვილი ფიქრია.** ბავშვებს დედებივით თავს ევლებიან.

აღმზრდელებთან ერთად ბაღში აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან ფსიქოლოგი **ჯავშანაშვილი ლია** და ლოგოპედი **ფუტკარაძე დალი**.

დირექტორის შემდეგ ბაღის კეთილმოწყობაში და სააღმზრდელო პირობების შექმნაში უდიდესი წვლილი შეაქვს მის მოადგილეს – **შუქურა კვიციანს**. ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას მხარში უდგას საქმისმწარმოებელი – **დოდო ოდიშარია**. სააღმზრდელო პროცესში აქტიურადაა ჩართული ასევე მეთოდისტი, ქალბატონი **ლელა ლალიაშვილი**.

გასულ წელს ბაღმა პირველ კლასში გააცილა 102 მოსწავლე.

ბაღში ტარდება სხვადასხვა სახის გამოფენები, ატარებენ დღესასწაულებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. მინდა მოგაწოდოთ ნიჭიერი, უაღრესად პერსპექტიული პატარების მოკლე ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენენ ბაღის აქტივს მუსიკის პედაგოგის **გულნარა ბერიაშვილის** ხელმძღვანელობით. ესენია: **იოანე გზირიშვილი, თინანო გორგოძე, ელენე კოდუა, გიზო კალანდაძე, ელენე ბურდილაძე, ანასტასია ჯავშანაშვილი, თეკლა ფირცხალავა, ნატალი ჩადუნელი, ანა გვარჯალაძე, შალვა მოდებაძე, მარი ქრისტესიაშვილი, ცეკვაში – ნიკოლოზ და ლუკა სვარიძეები, გიორგი ჭელიძე, ბექა ჩხიტუნიძე, ნიკოლოზ თედორაძე, ელენე ღურწკაია, თეკლე მამულაშვილი, კოკა კუცია, ნიკოლოზ კინწურაშვილი, ილია კოდუა**.

ბაღში მაღალ დონეზეა მოწესრიგებული კვების პროცესი, რომელიც ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით მიმდინარეობს, აგრეთვე სხვა სისტემებიც. საბავშვო ბაღის ეზო, სადაც დამონტაჟებულია გასართობი საქანელები და სათამაშოები. ისედაც ბავშვებისთვის ძალიან ბევრი სათამაშო, სპორტული ატრიბუტები და თვალსაჩინოებაა.

ამდენად, ეს ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი მშობლებთან ერთად ახერხებს ბავშვებს შეუქმნას ბედნიერი ბავშვობა, გაალამაზონ, გააფაქიზონ მათი სული. აღმზრდელ-პედაგოგები ყველაფერს აკეთებენ, როგორც იტყვიან, თავს არ ზოგავენ, რომ მათი ტკბილი მოგონებები, უსაზღვრო სითბო და სიყვარული გაატანონ საგზლად სკოლისკენ მიმავალ ცეროდენებს.

მარინე მირცხულავა

გამოცდილება

კათედრა – კეთილი კორდინაციური

მეოთხე წელია თბილისის 142-ე საჯარო სკოლას ენერგიული, ახალგაზრდა დირექტორი **შორენა ცნობილაძე** ხელმძღვანელობს. იგი კარგი მენეჯერია, ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის და არც ერთი პედაგოგის მიღწევა, ინიციატივა, ნოვატორობა შეუმჩნეველი არ რჩება.

სკოლაში ყველაზე მრავალრიცხოვანი დაწყებითი კლასების კათედრაა. ისეთ გამოცდილ პედაგოგთა შორის, როგორებიც არიან: **ციალა გელაშვილი, გულიკო ჯაფარიძე, მარინე მეტრეველი, მანანა ხულუჩაური, ნანა ჩიხრაძე, ნაირა გერმისაშვილი, ნანა ჩაჩუა, ნანა თავართქილაძე, მაია ჩაგელიშვილი, ნაილი ბახტურიძე, ნინა მზარეულაშვილი, აიდა მინასიანი, ლელა არჩვაძე, ევა გულაშვილი,** მოღვაწეობენ ახალბედა მასწავლებლები: **ნინო შოვნაძე, თეა ჯოლბორდი, ნათია თვალიაშვილი და მაია ლაბუციძე.**

კათედრის მიზანია არა ვარსკვლავური პრინციპების დამკვიდრება, არამედ, სკოლის ბაზაზე ზრუნვა მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატებისათვის. კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა, მიზნობრივი ექსკურსიები, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

სისტემატურად ტარდება კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებულია წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე.

ჩვენს საქმიანობას კოორდინირებას უწევენ დირექტორის მოადგილეები **ბელა ჩიტია და დოდო გოგოლაძე.**

წარმატებული პროექტები განახორციელეს: **ეკა გულაშვილმა:** „მოვა დრო“, რომელიც ნიკო ფიროსმანიშვილს მიეძღვნა.

ქართულ ენაში ნინო შოვნაძემ: „ზღაპრული სამყარო“ და „ღამისა და მთვარის მომღერალი“. ასევე – **მანანა ხულუზაურისა**: „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“.

საინტერესოა პროექტები ბუნებისმეტყველებაში: **მარინა მეტრეველის** „ჩემი სამშობლო საქართველოა“, **ნანა ჩიხრაძის** „სამკურნალო მცენარეები“, **ნაილი ბახტურიძის** „ჩემი სამყარო“, **ნაირა გერმისაშვილის** „გარემოს დაბინძურება“, **ნანა თავართქილაძის** „სუფთა ხელები ანუ ინფექციურ დაავადებათა პრევენცია ბავშვებში“.

იაკობ გოგებაშვილის კვირეული ყოველწლიურად ტარდება. მის ფარგლებში ჩატარდა დიდი პედაგოგის ნაწარმოებების კითხვა. **გ. ჯაფარიძის, ნ. ჩაჩუას, ნ. მეტრეველის, მ. ხულუზაურის, ნ. გერმისაშვილის, ც.გელაშვილის, ნ. ბახტურიძის** კლასებში მთაწმინდის პანთეონს ეწვივნენ და პატივი მიაგეს „დედა ენის“ შემქმნელს.

ჩავატარეთ კონკურსი მხატვრულ კითხვაში და კალიგრაფიაში. კალიგრაფიის კონკურსი მასწავლებელთა შორისაც მოეწყო. გაიმარჯვეს**: გ. ჯაფარიძემ, ნ. ჩიხრაძემ და ლელა არჩვაძემ.**

დაუვიწყარია ჩვენი პედაგოგების მიერ ორგანიზებული ღონისძიებები: „ანბანის გაცილება“ და „ოთხი წელი სკოლაში“. მომხიბლავი სანახაობებით დაგვამახსოვრეს თავი: **გ. ჯაფარიძემ, მ. მეტრეველმა, ნ. ჩაჩუამ, ნ. თვალიაშვილმა, ლ. არჩვაძემ, მ. ჩაგელიშვილმა, მ. ხულუზაურმა, ნ. მზარეულაშვილმა, ა. მინასიანმა, ნ. ბახტურიძემ და თ. ჯოლბორდმა.**

დაწყებითი კლასების კათედრა ცდილობს ფეხი აუწყოს ეპოქის გამოწვევას – სკოლაში დანერგოს კვლევის ჩვევები, ლოგიკური და სიმბოლური აზროვნება, განუვითაროს პატარებს უნარ-ჩვევები, რომელიც დაეხმარება მათ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში.

ნანა ჩაჩუა,
დაწყებითი კლასების კათედრის ხელმძღვანელი

თბილისის მე-60 საჯარო სკოლაში

დირექტორი შოთა მალაზონია

სწავლების ხარისხი უწყვეტად უმჯობესდება

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნისაა სახელოვანი მე-60 საჯარო სკოლა. რამდენი საამაყო შვილი გაიზარდა ამ ჭერქვეშ, რამდენი საამაყო ქართველი შეემატა ერს, რამდენი ღირსეული მოქალაქით და მამულიშვილით შეგვიძლია ვიამაყოთ. ისინი ხომ ჩვენთვის სამაგალითონი არიან. მათ გაკვალულ გზაზე უნდა ვიაროთ, რომ შემდგომმა თაობებმა ჩვენზეც კეთილი სიტყვა თქვან. ამას სურვილი, ძალისხმევა და მონდომება სჭირდება და ჩვენ სწორედ ამისთვის მზად ვართ.

სკოლას ჰყავს ახლადარჩეული დირექტორი ბატონი **შოთა მალაზონია**, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა სხვა სკოლის დირექტორად და ამასთან ერთად არის სერთიფიცირებული პედაგოგი. მისთვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა სკოლის მუშაობის სწორი დაგეგმვა და შეფასება, განათლების ხარისხის ამაღლება და უწყვეტი ზრდა, განათლების სტანდარტების შესრულების მონიტორინგი. სკოლის წინსვლაში ასევე დიდი წვლილი შეაქვს დირექტორის მოადგილეს, შემოქმედ პედაგოგს **ნანა ლომთათიძეს**.

სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო, არის სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს აქტიურად ეხმიანებიან მე-60 საჯარო სკოლის პედაგოგები და დირექცია. გამომდინარე იქიდან, რომ რეფორმის უმთავრესი მიზანია სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესება, ისინი ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რათა სრულყონ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა.

სასწავლო წლის დასაწყისში (დირექციის თუ პედაგოგთა) ინიციატივით ჩვენს სკოლაში შეიქმნა ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ სხვადასხვა კათედრის წევრები. დაიგეგმა აქტივობები. ოქტომბერში და ნოემბერში ჩატარდა რამდენიმე ინტეგრირებული, სამოდელო და პროექტ-გაკვეთილები.

მაგალითად, პედაგოგმა **მ. ხუსკივაძემ** III კლასში ჩაატარა ინტეგრირებული გაკვეთილი „მოგზაურობა კოსმოსში“. ისტორიის პედაგოგმა **მ. დავითულიანმა** IX კლასში ჩაატარა სამოდელო გაკვეთილი „თბილისი სხვადასხვა რელიგიათა თავშესაფარი“. **თ. ყაჭეიშვილმა** მოაწყო VII კლასის მოსწავლეთა მიერ დაწერილი ზღაპრების წიგნის პრეზენტაცია, **ქ. შარაშიძემ** I კალსში ჩაატარა ინტეგრირებული გაკვეთილი „შემოდგომა“.

აღნიშნულ გაკვეთილებზე პედაგოგებმა მოიწვიეს კოლეგები, რასაც მოჰყვა აზრთა გაზიარება, განხილვა-შეფასება.

ჯგუფის წევრთა აქტივობებით დაინტერესდნენ სკოლის სხვა პედაგოგებიც. მაგალითად, დაწყებითი კლასების კათედრის წევრები აქტიურად ჩაერთვნენ აღნიშნულ პროცესში.

ჯგუფის წევრები ასევე გეგმავენ შეხვედრებს სხვადასხვა მიზნით. მაგალითად, ისაუბრებენ კლასის ან მოსწავლეთა ქცევათა პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებზე. ასევე ერთმანეთს გაუზიარებენ სემინარებზე, კონფერენციებზე მიღებულ ცოდნას.

მე-60 საჯარო სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის წევრთა მიზანია, განვითარდნენ პროფესიულად და უფრო მეტად საინტერესო, კომფორტული გარემო შეუქმნან აღსაზრდელებს. სკოლაში არის ბიბლიოთეკა 10500 წიგნადი ფონდით, პერიოდიკით და სხვადასხვა დამხმარე მასალით.

ტარდება დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც ავსებენ სასწავლო გეგმას და წაახალისებენ მოსწავლეთა აქტივობას, ჩაერთონ აღნიშნულ ღონისძიებებში, არსებობს საინტერესო კლუბები: საგნობრივი, სპორტული, კულტ-მასობრივი. იგეგმება პროექტები, სათემო პროგრამები, რომლებიც ხელმისაწვდომია მოსწავლისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სოციალურ ინკლუზიის ხელშეწყობის პროგრამა“, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი **ლელა ცქიტიშვილი.**

ასევე, დირექცია მიმართავს სხვადასხვა საშუალებას, რომ მშობლები და ოჯახები ჩართოს ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში (ღია კარის დღე: შეხვედრები მშობლებთან, რომელიც ეხება მათი შვილების სწავლასთან დაკავშირებულ საჭიროებებს და აკადემიურ მოსწრებას).

2005 წლიდან სკოლაში დანერგილია ინკლუზიური განათლება და მუდამ სწავლობს 31 სსსმ მოსწავლე, მათი სწავლებისთვის მიმდინარეობს ი.ს.გ. სკოლას აქვს რესურს ოთახი, ჰყავს 3 მაღალკვალიფიცირებული პედაგოგი და 1 ფსიქოლოგი, რომლებიც ხელს უწყობენ ინკლუზიური მოსწავლეების განათლების პროცესს. მათ შორის 3 ეტლით მოსიარულე ბავშვია, რომელთათვის სასწავლო კაბინეტში, სპორტდარბაზში ასვლა დიდ პრობლემას წარმოადგენს.

ისინი მხოლოდ პირველი სართულით სარგებლობენ და აუცილებელი საჭიროებაა ლიფტის დამონტაჟება, რომლის სახსრებიც ჯერჯერობით არ გააჩნია სკოლას.

წინ ფართო გზაა სავალი, კარგ ტრადიციას კარგი გამგრძელებელი სჭირდება. დირექტორ **შოთა მალაზონიას** ხელმძღვანელობით, ყველა პედაგოგის თავდადებული შრომით ყოველივე ამის გაკეთება შესაძლებელია და ასეც იქნება. სასწავლო წლის დასასრულს თბილისის მე-60 საჯარო სკოლა ხელდამშვენებული იქნება.

რომან მოსეშვილი

ისინი ასე აზროვნებდნენ

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო“.

დავით გურამიშვილი

* * *

„ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონებისა და გაწურთვნილის ზნეხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად“.

ილია ჭავჭავაძე

* * *

„რა ვუყოთ, მასწავლებელი დღეს არა ფასობს ჩვენშია, თუმცა ხსნა ჩვენი ერისა მხოლოდ და მხოლოდ თქვენშია“.

ვაჟა-ფშაველა

* * *

„მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა, განათლება“.

იაკობ გოგებაშვილი

„ვინც შეგირდი არ ყოფილა, ვერასოდეს გახდება ოსტატი, მუდამ ოსტატებს ვინც შეჰყურებს პირში“.

კონსტანტინე გამსახურდია

* * *

„წარმატებით აღზრდის საიდუმლო მოწაფის პატივისცემაშია“.

რ. ემერსონი

* * *

„ერი, რომელიც მასწავლებლის ღირსებას იცავს, უკვდავია და უძლეველი“.

მორის ფოცხიშვილი

* * *

„დიდია მხოლოდ ის მასწავლებელი, რომელიც თვითონ არის განსახიერება იმისა, რასაც ასწავლის“.

კატონ უფროსი

შეკრიბა რომან მოსეშვილმა

„სიტყვა, რომელიც გვეჩოთირება...“

სასაცილოა? საგირალი უფრო არის!

მცირე განმარტება: ძვირფასო მკითხველო (პედაგოგებო, მეცნიერებო, მწერლებო, განათლების მესვეურნო)! პატარა ექსპერიმენტს ვატარებ, გნებავთ გამოკითხვა დაარქვით. დაგენიძლავებით, თუ ოც პროცენტზე მეტმა, თუნდაც ფილოლოგმა, იცოდეს სიტყვა „ბლოგის“, „ბრენდის“, „ბორდის“ ზუსტი მნიშვნელობა, სავარაუდო კი არა – ზუსტი. ასე შემოვარდება ხოლმე, შემოიჯირითებს, ინფექციასავით მოედება ყველგან უცხოური (უმეტესწილად ინგლისური) ტერმინები და მერე უყარე კაკალი. ვინაა მისი გამკითხავი? ქვემოთ წარმოდგენილი სტატია ხუთი წლის წინათ გამოქვეყნდა. გთხოვთ, გულდასმით წაიკითხოთ იგი და მიპასუხოთ, უკეთესობისკენ რაიმე შეიცვალა? რაიმე გამოსწორდა მას შემდეგ?

* * *

უამრავი არააუცილებელი სიტყვა დაუფიქრებლად შემოგვაქვს და იმასაც ბევრ შემთხვევაში უმართებულოდ ვხმარობთ. ამას ორი მიზეზი განაპირობებს: ერთია, პოლიტიკური ხასიათის ვითარება (განზრახ არ ვიხმარე „კონიუნქტურა“) და მეორე, პიროვნების თვისება თავის გამოჩენისა: აქაოდა, უცხოური ენები ვიციო. მოკეკლუცეები ხშირად იგდებენ ხოლმე თავს სასაცილო მდგომარეობაში. ქართველო, თურაშაულის პატრონი, ტყეში ნუ მიდიხარ პანტის საძებნელად, ნუ დაგიკარგავს თავმოყვარეობა! იკითხე კი, რამდენი ქართული სიტყვა არის შესული სხვის, იმ დიდი ქვეყნების სამეტყველო პრაქტიკაში, რომ შენ ასე ხარბად დაწაფებიხარ მის ლექსიკას?

არადა, ხომ კარგად იცი ქართული მსოფლიოს ენათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და გამორჩეულია.

დღეს წარამარა გვესმის და ვკითხულობთ: **„ანექსირებული“, „მიზერული“, „დებატები“, „პრევენცია“, „ჰობი“, „მესიჯი“, „ესემესი“, „მენტალიტეტი“** და უთვალავი სხვა. ყველა ამ ცნებას ხომ აქვს მშვენიერი, მამაპაპური ქართული შესატყვისი? მაშ, რატომ გვაქვს მიდრეკილება მაინცდამაინც უცხოური სიტყვებით ვიკეკლუცოთ? **„არგუმენტს“ „საბუთი“** არა სჯობია?

ტელეეკრანიდან ექიმი გვირჩევს: **„აუტოთერაპია“** არ ჩაიტაროთო, **„თვითმკრუნალობა“** არა სჯობდა? ექიმს უფრო ეპატიება, მაგრამ ქართული ენის სპეციალისტს?

ახლახან პარლამენტში გამოსულმა ფილოლოგმა დეპუტატმა სამ წინადადებაში ხუთჯერ იხმარა **„კორექცია“.** საარჩევნო ვადის შესწორება-დაზუსტებაზე იყო საუბარი.

დასავლეთის სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემასთან შეუჯერებლად გადმოღებისას მთარგმნელებმა, მიუხედავად მაღალი ანაზღაურებისა, თავი არ შეიწუხეს პედაგოგიური ტერმინების გაქართულებაზე. დახვავდა, მაგრამ რა დახვავდა: **„გლობალიზაცია“, „ინტეგრაცია“, „ინოვაცია“, „კურიკულუმი“, „კონცეპტუალიზაცია“ და კიდევ ბევრი „ზაცია“.**

შეფასების ეროვნული ცენტრის, (აქაც ბევრი ფილოლოგია) განმარტებით ბარათში, სადაც სკოლაში ტესტირებული გამოცდების ჩატარებაზე იყო საუბარი, ერთ გვერდზე ხუთჯერაა ნახმარი **„პილოტირება“ და „საპილოტე“,** რაც ქართულად **„გაფრენას“** და **„გასაფრენს“** ნიშნავს, კონკრეტულ შემთხვევაში კი – **„ცდას“, „მოსინჯვას“, „საცდელს“, „მოსასინჯს“**.

რეფორმაცენტრის ერთ-ერთი თეორეტიკოსის ნაშრომიდან,რომელიც იმ დროს პედაგოგიურ გაზეთში დაიბეჭდა, გთავაზობთ ერთ ამონარიდს: **„ინოვაცია, მონიტორინგისა და ტრენინგის შედეგად საგანთა ინტეგრაცია, სწავლების სტრუქტურის მოდიფიკაცია, ინტერაქტიული ინტენსიფიკაციაა“.** სტილს თავი დავანებოთ, რამდენი ქართული სიტყვა გვაქვს ამ წინადადებაში, მკითხველო?

მართალია, **„ინსპექტორიც“** და **„სპეციალისტიც“** უცხოური სიტყვებია, მაგრამ ასე თუ ისე შეგუებული ვიყავით მას. არ მოეწონათ რეფორმის მესვეურებს და იგი იურიდიულ-კრიმინალური ტერმინ **„ექსპერტით“** შეცვალეს. ნაღდი ქართული კი **„მცოდნე“** გახლავთ. რა ვქნათ ახლა, **„ხელოვნებათმცოდნე“** ვიხმაროთ, თუ **„ხელოვნებათექსპერტი?“ ასევე „მეთოდიკა“ შეცვალეს „ტექნოლოგიით“, „მეთოდისტი“ „ტექნოლოგი“** გახდა.

პედაგოგებო, ვიცი, **„უალკოჰოლო სასმელების დამზადების ტექნოლოგია“** მოგეწონებათ, მაგრამ ვალერიან რამიშვილის **„დედაენის“** სწავლების **„ტექნოლოგია“, ან „ვეფხისტყაოსანის“** სწავლების ტექნოლოგია“ როგორია, ჰა? **„სერთიფიკატს!“** – კინაღამ ენა რომ მოიტეხეთ, **„მოწმობა“, „ცნობა“** არა სჯობდა?

აი, ასეთი ტერმინები მონღოლთა ურდოებივით შეიჭრნენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საზოგადოებაში და დამკვიდრდნენ კიდევაც.

ვატყობ, გადაგღალეთ მკითხველო, მაგრამ კიდევ ორ მაგალითს მოვიტან და შეგეშვებით. განათლების სისტემაში აგვიკლო სიტყვა **„ტრენინგმა“,** ხოლო **„შოუებმა“** მთლად მოგვინელა. რას ვერჩი ამ **„ტრენინგს“,** შესანიშნავი სიტყვაა, ფონეტიკურადაც კარგად ჟღერს, მაგრამ იმას ვერჩი, რომ ჩვენი უფრო ტკბილმშობლიური სიტყვები: **წვრთნა, ვარჯიში, მეცადინეობა** – ლტოლვილებად აქცია. არადა, განათლების სამინისტრომ სარეფორმო სიახლეთა შესწავლა-ასათვისებლად **„ტრენინგები“** ჩაუტარა მასწავლებლებს თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, თელავში, ლიკანში, გუდაურში...

წუთშესვენება! პატარა ენობრივ გასართობს შემოგთავაზებთ, მკითხველო, აბა, გამოიცანით! ვანო მაჩაბელთან ერთდ **„მეფე ლირის“** მთარგმნელს თავის პედაგოგიურ ნაშრომში რომ უწერია: „გონებრივი და ფიზიკური წვრთნა ხელიხელჩაკიდებულნი დადიანო“. თქვენი აზრით, მან არ იცოდა, რომ წვრთნას ინგლისურად **„ტრენინგი“** ერქვა? აქვე ერთსაც ვიტყვით: ილია **„არგუმენტის“** ნაცვლად მუდამ **„საბუთს“** ხმარობდა. მეორე შეკითხვა: როგორ იქნება ახალი ტერმინით სიტყვა ტანვარჯიში? **„ტანტრენინგიო“,** – ამბობს ვიღაცა და ეცინება. შემდეგი ამოცანა გვეკითხება:

რატომ არ დაწერა აკაკიმ ასე: „ეს **ტრენინგი** რაღას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?“ ახლა ირაკლი აბაშიძის საბავშო ლექსის ერთი სტროფი გავიხსენოთ: „ვინც კი ცურვა არ იცოდეს, მივეშველოთ გასაჭირში, რა კარგია, მეგობრებო, წყალი, მზე და ტანვარჯიში“, ბოლო სიტყვა როგორ უნდა დაეწერა? გეცინებათ ხომ? ვაი, რომ „სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა!“

ერთ-ერთ სკოლაში მესამეკლასელებმა ულამაზესი საახალწლო ზეიმი გვიჩვენეს. პროგრამის წამყვანმა ცეროდენა ბიჭმა თქვა: ახლა, გაიმართება ჩვენი ნახატების **პრეზენტაციაო**(!)

ო, როგორ მოედო ეს **„პრეზენტაცია“** საქართველოს!

არადა, დიდი ხნის წინათ, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ იუწყებოდა: „დღეს მწერალთა კავშირში გაიმართება ლადო მრევლიშვილის ახალი რომანის „ყაბახის“ **განხილვაო**“. შარშან კი რომელიღაც გაზეთში წავიკითხეთ: „თეატრალურ სარდაფში გაიმართა ლაშა ბუღაძის ახალი პიესის **პრეზენტაცია**“ და დღეში სად და სად, რა და რა სახის რამდენი **„პრეზენტაცია“** იმართება? **„პრეზენტაცია“** რა არის? რა და, ჩვენი მამაპაპური ქართულით: **„წარდგენა“, „განხილვა“, „გარჩევა“,** თუ **„გნებავთ“, „განჩხრეკა“**.

აი, როგორ უჭირს ქართველნო, იაკობის „დედაენას“, იმ ენას, რომელზეც დიდმა პოეტმა თქვა: „დედის ძუძუ მეორე, სიყვარული პირველი, ჩვენს აკვანს შემომჯდარი მგალობელი ფრინველი“. სხვა რამეც უჭირს დედაქართულს, მაგრამ განსაკუთრებით კი – ამ მიმართულებით. სამწუხაროდ, ზოგიერთი მწერლის ენობრივ ქსოვილშიც შეიპარა ეს უცხო სხეული.

მცირე საყვედურით მოგმართავთ, ქართველო მწერლებო: ენის, „თქვენი პური არსობისას“ დაცვა ხომ თქვენი უპირველესი მოვალეობაა და ამ ტვირთს მხოლოდ და მარტო **სკოლის მასწავლებლებს ნუ აჰკიდებთ**. უფრო ხშირად შეიარეთ სკოლებში, შეხვდით მოსწავლე ახალგაზრდობას, გამართეთ პაექრობები, გონებიდან ამოიღეთ ფიქრები: „აუტკივარი თავისა“ და „მე ხომ რამე არ მომივას“ შესახებ. გაიხსენეთ, როგორ „ჭამდნენ“ ერთმანეთს მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია.

კარგა ხანია, ვაკვირდები ამ პროცესს და თითებზე ვითვლი იმ მწერლებს, რომლებიც შეუპოვრად იბრძვიან დედაქართულის გადასარჩენად. რამ შეგაშინათ? ვიცი, ის დასაწვავი „კონიუნქტურა“ დგას ჩვენს შორის, მერე რა, რომ გავიწროებენ. ენის პალატა გააუქმეს, ტელევიზიებს თქვენთვის არ სცალიათ... არადა, ყოველდღე საათობით უჩვენებენ უცხოურ სერიალებს, „შოუების“ ბღლარძუნ-ღლიცინს (“ვანოს შოუ“, „ნანუკას შოუ“, „ქლაბ-შოუ“...). ინგლისურენოვანი გარემო და სივრცე მძლავრობს. სწორედ ახლა გმართებთ მეტი შემართება, „დღეს **გამოჩნდება, ვინ არს ერთგული, ვის უფრო გვიყვარს ენა ქართული**“. მუდამ თვალწინ დაიყენეთ წინაპართა ბრძოლის მაგალითები. **„გულს დაისვენეთ ხატად ენა მთისა და ბარისა“**. მიბაძეთ დიდოსტატს, ელექტრობოძებზე გაკრული წარწერის „ფრთხილად, სასიკვდილოას“ წაკითხვისას რომ წამოიძახა: „ამის დამწერია სასიკვდილო, **„მომაკვდინებელია“** უნდა ეწეროსო“.

ბოდიშს გიხდით ამდენი რჩევა-შეგონებისათვის, მაგრამ სათქმელი უნდა თქმულიყო! საქმის თვითდინებაზე მიშვება დამღუპველია.

ახალიარ კარგად დავიწყებული ძველი

ინფორმაციის სასტიკად მოზღვავებამ განათლების სფეროს ბევრი პრობლემა და თავსატეხი გაუჩინა. მხოლოდ ორს შევეხები: **რამდენი წლის ბავშვი უნდა შევიყვანოთ სკოლაში?** აქ ახალი, გამოსაგონებელი თითქოს არაფერი უნდა იყოს.

ჯერ კიდევ **არისტოტელემ** ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოგვცა მოზარდის ასაკობრივი კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ბავშვის ფიზიოლოგიურ-გონებრივ-ფსიქიკურ მოცემულობას.

პედაგოგიკის მსოფლიო კორიფეებმა განსაზღვრეს ბავშვის სასკოლო მზაობის ასაკი. **კომენსკი, პესტალოცი, უშინსკი, გოგებაშვილი** და სხვები თვლიდნენ, რომ ბავშვის ფიზიკური და გონებრივი მონაცემები **შვიდი** წლის ასაკში მზად არის სწავლის ოფიციალურად სკოლაში დასაწყებად (ვუნდერკინდებს არ ვგულისხმობ, თორემ აკაკი წერეთელს ექვსი წლის ასაკში „ვეფხისტყაოსანი“ ჰქონდა წაკითხული).

დრო და ჟამის შესაფერად ზოგიერთ ქვეყანაში, კონიუნქტურიდან გამომდინარე, მცირე კორექტირება მოხდა. ვიმეორებ, რაღაც კონიუნქტურიდან გამომდინარე, ჩვენშიც მოხდა ასეთი რამ. ალბათ გახსოვთ, სკოლებში **ექვსწლიანთა ნოლჯგუფების** შემოღება. შემდეგ კი ის ნოლჯგუფი პირველი კლასი გახდა.

ბოლო ხანს ინფორმაციის გაუგონარი ბუმის პირობებში (ტელევიზია, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი) ნორჩის გონების უჯრედები ვერ ითვისებს, ვერ იტევს შესასწავლ (შესამეცნებელ) ფაქტმოვლენებს. ტექნიკაა რომ ასე სწრაფად ვითარდება, თორემ ტვინის უჯრედები როდის იცვლება. ნუთუ დღეს რომელიმე ფილოსოფოსს ჰგონია, რომ იგი პლატონზე უკეთ აზროვნებს?

ჰოდა, ამ ვითარებაში ავტეხეთ ხმაური: პირველ კლასში 5 წლის ბავშვი მივიღოთო. მისი შემეცნებითი უნარი ხომ უსუსურია. 5 წლის ბავშვს არ ძალუძს ყურადღების კონცენტრირება. ამიტომ კარგავს ინტერესს სწავლის მიმართ, იბნევა, გზას ვერ იკვლევს ლაბირინთებში.

დროულია, რომ განათლების სამინისტრო ამ ვითარების მოწესრიგებას აპირებს.

დაახლოებით იგივე უნდა ვთქვა მეორე პრობლემაზე: **რომელი კლასიდან ვასწავლოთ უცხოური ენა**? ისევ დიდი პედაგოგების რჩევას მოვუსმინოთ: **უშინსკი და გოგებაშვილი** დაჟინებით გვირჩევდნენ: ჯერ აუცილებელია საფუძვლიანად მშობლიური ენა ვასწავლოთ, ამის მერე კი გადავიდეთ უცხოურზეო. ასეც იყო საბჭოურ სივრცეში: რუსულის სწავლებას მესამე კლასიდან ვიწყებდით, ინგლისურის, ფრანგულის, გერმანულისას – მეხუთედან. დღეს კი (ისევ კონიუნქტურიდან გამომდინარე) ინგლისურს ლამის საბავშვო ბაღიდან ვასწავლით.

სპეციალისტებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ კომპეტენტური დასკვნები. თუ ასე გაუთავებლად ვატარეთ ექსპერიმენტები, მაშინ საქმის კეთებაზე როდის გადავიდეთ?

რედაქტორი

„საქმე, რომელიც გვეჩოთირება...“

ეს პედაგოგიური გმირობაა

„მადლი გფენიათ მარჯვენაზედა!..“

შეუღლებამდე დიდი პედაგოგიური გზა ჰქოდნათ გავლილი. გულმა გული იცნო და ღონემ – ღონე. დამსახურებული მასწავლებლები **მირიან ჯალაღონია და თალიკო წარია** ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ღირსეულად ემსახურნენ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ, მაგრამ ურთულეს საქმეს.

არ მინდა წყეული სიტყვა „პრეზენტაცია“ ვიხმარო. ჯერ მოკლედ წარმოგიდგენთ **მირიან ჯალაღონიას**. სარაქონელ ჭაბუკს დამთავრებული აქვს სოხუმის


მირიან ჯალაღონია

თალიკო წარია

პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი. მოღვაწეობდა გაგრის, სოხუმის, ბათუმის განათლების სისტემაში: მასწავლებლად, სკოლის დირექტორად, სოხუმისა და ბათუმის უნივერსიტეტებში ლექტორად და მეცნიერ-მუშაკად. იგი გერმანული ენისა და ისტორიის ჩინებული სპეციალისტია. ბათუმის უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხი მიანიჭეს.

ბატონი **მირიანი** დიდი სამამულო ომის ვეტერანია, აფხაზეთიდან დევნილი, დევნილ ომის ვეტერანთა საბჭოს თავჯდომარე. მრავალი ჭირ-ქარტეხილგამოვლილი. იგი განა მხოლოდ პედაგოგია? კაცური კაცობის ეტალონი გახლავთ. მრავალმხრივი მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მრავალი წიგნის ავტორი, „ფაზისისა“ და „ქალდეას“ აკადემიების წევრი. აფხაზი და ქართველი ქალ-ვაჟის სიყვარულის თემაზე დაწერილი აქვს რომანი **„აკრძალული სიყვარული“**. თამამად ვიტყვი: ამ თემაზე უკეთესი მხატვრული, მძაფრსიუჟეტიანი არაფერი წამიკითხავს. ჩვენ ხომ გვიყვარს გურამ ოდიშარიას „ზღვა, რომელიც შორია?“ მაგრამ მას არაფრით ჩამოუვარდება ეს ნაწარმოები.

ამ დღეებში კიდევ გამოსცემს ახალ წიგნს სამეგრელოს ეთნოგრაფიის საკითხებზე.

მირიანის მეუღლე **თალიკო წარიას** ცხოვრება პედაგოგიური გატაცების, მისადმი ერთგულება-თავდადების სანიმუშო მაგალითია. გაგრელმა ქალიშვილმა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობა დაიწყო. მუშაობდა გაგრის, ხეივნის, განთიადის საშუალო სკოლებში, შემდეგ – სოხუმის რკინიგზის სკოლა-ინტერნატში. დააწინაურეს სასწავლო ნაწილის გამგედ, მალე – სოხუმის მე-7 სკოლის დირექტორად. ლტოლვილობის დროს თბილისში აფხაზეთის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის დირექტორი იყო. ყველგან სარგებლობდა დიდი სიყვარულით და მაღალი ავტორიტეტით. ასეთი პედაგოგიური მოღვაწეობა ხომ გმირობის ტოლფასია?

მირიან ჯალაღონია პედაგოგიური დინასტიის თავკაცია. მისი უფროსი შვილი **რევაზი მირიანის** მშობლიურ სოფელ სარაქონის საშუალო სკოლაში (ჩხოროწყუს რაიონი) ასწავლიდა რუსულ ენას, შემდეგ მუშაობდა ოჩამჩირის რაიონის კინდღის მეფრინველეობის ფაბრიკაში მთავარ ინჟინრად.

სიძე **ბორის მოწაფია** მუშაობდა პედაგოგად სოხუმის პროფტექნიკურ სასწავლებელში.

მრავალრიცხოვანია ამ ორი ამაგდარი პედაგოგის – **მირიან ჯალაღონიასა და თალიკო წარიას** ოჯახი და ამ დიდ, შვილებით, შვილიშვილებით, შვილთაშვილებით მდიდარ ოჯახში ბატონი მირიანი ტარიელ გოლუასავით ისე მძლავრად დგას, როგორც ფესვებმაგარი ბერმუხა – ნორჩ, ავარდნილ ტყეში.

ფაქტების საოცარ დამთხვევასთან გვაქვს საქმე: **ახალ, 2015 წელს ბატონი მირიანი და ქალბატონი თალიკო შესაბამისად 90 და 80 წლის იუბილეს იზეიმებენ.** გილოცავთ და ვაჟას სიტყვებით დაგლოცავთ: „მადლი გფენიათ მარჯვენაზედა!..“

კეთილი მეგობრების სურვილია: როგორც დიდმა მეცნიერმა **აკაკი შანიძემ** დაძლია, ისე სახელოვნად გადაგელახოთ ცხოვრების 100-წლიანი თამასა!

ბორის კინდღელი

ხსოვნა

ჰამლეტ ჩხენკელი

გარდაიცვალა განათლების სისტემის გამორჩეული, ზნეკეთილი პიროვნება **ჰამლეტ ჩხენკელი.**

იგი პედაგოგიურ სარბიელზე ბედმა სკოლის დამთავრებისთანავე გამოიყვანა, როცა თბილისის მე-10 საშუალო სკოლის დირექტორმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** მას ხატვისა და ფერწერის წრის ხელმძღვანელობა დააკისრა.

მან 1965 წელს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. მალე 126-ე საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელად და იმავე დროს რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად დაინიშნა, ხოლო 1967/68 სასწავლო წლიდან კი საქართველოს განათლების სამინისტროსა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის საბაზო რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის დირექტორის მოადგილე იყო. 1974 წლიდან **ჰამლეტ ჩხენკელი** საქართველოს განათლების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში იწყებს მუშაობას. მის საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართვაში დიდი წვლილი მიუძღვით **ეროსი კოტრიკაძეს, ლევან ჩიქვანაიას, ნუგზარ ფოფხაძეს.**

ჰამლეტ ჩხენკელი წლების მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს. პარალელურად მუშაობდა თბილისის მე-11 საშუალო სკოლაში პედაგოგად.

ჰამლეტ ჩხენკელს დიდი წვლილი მიუძღვის ამ სკოლის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის „დედაქალაქის მეთერთმეტე – გუშინ, დღეს... რა იქნება ხვალ?..“ შედგენა-გამოცემაში.

მარადიული ხსოვნა **ჰამლეტ ჩხენკელს** – ჭეშმარიტ მამულიშვილს, ჰუმანურ პიროვნებას, გამოჩენილ პედაგოგს.

მეგობრების ჯგუფი, გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია

სარეკლამო კუთხე

შეგიძლიათ განათავსოთ:

განცხადებები
მილოცვები
ნეკროლოგები
სხვა ინფორმაცია

ნელი ბუაძის მოსაგონარი

ჭეშმარიტი ილიელი

„თუ გინდა ჭეშმარიტად განსაზღვრო პიროვნების როლი ერის ცხოვრებაში, უნდა იცოდე – რა იქნებოდა ერი, რომ არ ჰყოლოდა ეს მოღვაწე-მამულიშვილი; თქვენ შეგიძლიათ შეისწავლოთ ილიას ბიოგრაფია და შემოქმედება, მაგრამ ეს საკმარისი როდია – უნდა შეიყვარო ილიაცა და მისი ნაღვაწიც, თქვენ ხომ ილიელები ბრძანდებით“ – ამ ფრაზის გამეორება ხშირად უყვარდა ქართული განათლების სახელოვანი კოჰორტის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ქალბატონ **ნელი ბუაძეს**.

ამაგდარ პედაგოგს, თაობათა გამზრდელ-აღმზრდელს ურყევად სწამდა, რომ „სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამის – სამშობლოსია, ჯერ სამშობლოა, მერე – დედა და მამა“.

ამ შეგონებით მოღვაწეობდა ქალბატონი ნელი თავისი ხანგრძლივი, ნაყოფიერი ცხოვრების მანძილზე. სადაც არ უნდა ყოფილიყო, სადაც არ უნდა ემუშავა, ძირითად პრინციპად აღიარებდა ილიას შეგონებას: „საქმე კი საქმეშია... საქმეა სიცოცხლე“.

პროფესიონალი მასწავლებელი, სანაქებო მშობელი, მეუღლე, გულისხმიერი, მზრუნველი კოლეგა – აი, არასრული ჩამონათვალი იმ თვისებებისა, რომლითაც შემკული გახლდათ ქალბატონი **ნელი ბუაძე.**

ორმოცი დღე იწურება მას შემდეგ, რაც ღვაწლმოსილმა ქალბატონმა დატოვა სამზეო.

გაივლის მრავალი-მრავალი წელი. მადლიერი თაობები სათუთად შეინახავენ მის ხსოვნას, ხსოვნას ჭეშმარიტი ილიელისა.

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი

ნომრის რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№5 (4502)
26 ნოემბერი, 2014 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009